585
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

585

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 7

1985

40

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 7 (479) ივლისი 1985 წელი



## შინაარსი

### განყოფილება პირველი


246. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

247. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

248. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარის — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ“ თაობაზე.


### განყოფილება მეორე


249. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

250. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

251. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

252. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

253. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

254. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

255. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ი. ონიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

256. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

257. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

258. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

259. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. დ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

260. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ნ. გოგეშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

261. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ნ. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

262. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. მანელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

263. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. კ. მიქეევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

264. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. გ. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

265. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. შ. იმედაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

266. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

267. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

268. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

269. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. ვ. ლომსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

270. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

271. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. დ. ჩიჩუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

272. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. მ. არხიპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

273. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. კუპატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

274. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ვ. ხუჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

275. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები

### 246 ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევებთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1968 წ., № 12, მუხ. 173; 1978 წ., № 9, მუხ. 180; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. 23-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი მეოთხე ნაწილი:

„იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ნასვამ მდგომარეობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანაშაული, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს დამატებითი სასჯელი პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით“.

ამასთან დაკავშირებით ამ მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მეხუთე და მეექვსე ნაწილებად.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $34^1$ მუხლი:

„**მუხლი 34[1].** სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა

სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა მდგომარეობს დამნაშავე პირის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების იძულებით ჩამორთმევასა და დადგენილი წესით მის შემდგომ რეალიზაციაში, ყოფილი მესაკუთრისათვის მიღებული თანხის გადაცემით, რომელსაც გამოაკლდება რეალიზაციის ხარჯები.

სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი განისაზღვრება საქართველოს სს რესპუბლიკაში მსჯავრდებულებზე შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელ სისხლისსამართლებრივ სასჯელთა აღსრულების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით“.

3. 241-ე, $241^1$ და $241^2$ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 241.** მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებებს, ესე იგი ყველა სახის ავტომობილებს, ტრაქტორებს და სხვა თვითმავალ მანქანებს,

ტრამვაი-ტროლეიბუსებს, აგრეთვე მოტოციკლებსა და სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს მართავენ, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ან რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ, ხოლო ჩადენილი ნასვამ მდგომარეობაში, — თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე და პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

იგივე მოქმედება, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ხოლო ჩადენილი ნასვამ მდგომარეობაში, — თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან რვა წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან ხუთ წლამდე და პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, რასაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ხოლო ჩადენილი ნასვამ მდგომარეობაში, — თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე და პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, რასაც მოჰყვა რამდენიმე პირის დაღუპვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ხოლო ჩადენილი ნასვამ მდგომარეობაში, — თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით და პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

**მუხლი 241**[1]. სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში, უკანონო მართვა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა

სატრანსპორტო საშუალებების, ესე იგი ყველა სახის ავტომობილების, ტრაქტორებისა და სხვა თვითმავალი მანქანების, ტრამვაი-ტროლეიბუსების,

აგრეთვე მოტოციკლებისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მართვა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში, აგრეთვე პირის მიერ, რომელსაც ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ამგვარი დარღვევისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მართვისას, — აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთი წლის ვადით, ხოლო პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მართვისას — აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა, განმეორებით ჩადენილი წლის განმავლობაში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის განმავლობაში იმავე დარღვევისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორასი მანეთის ოდენობით, მძღოლისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე, ხოლო პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მართვის გადაცემისას — აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს სატრანსპორტო საშუალებათა ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე, ხოლო პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების მართვისას — აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით ან უამისოდ.

**მუხლი 241$^{2}$.** ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციოდ გაშვება ან მათი ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევა

წინასწარი შეცნობით ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა, ესე იგი ყველა სახის ავტომობილების, ტრაქტორებისა და სხვა თვითმავალი მანქანების, ტრამვაი-ტროლეიბუსების, აგრეთვე მოტოციკლებისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციოდ გაშვება, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირის სატრანსპორტო საშუალებათა სამართა-

ვად დაშვება, ანდა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების სხვა უხეში დარღვევა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებელი პირის მიერ, თუ ამას მოჰყვა ამ კოდექსის 241-ე მუხლში მითითებული შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით ასიდან სამას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის ან ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობათა დაკავების უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 1 ივლისი.
№ 164—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 247 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 2 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1977 წ., № 4, მუხ. 40; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 25-ე მუხლში:

მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილი";

მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ მამაკაცებს:

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა ისეთი არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, როგორიცაა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება თაღლითობით დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (93-ე მუხლის პირველი ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (94-ე მუხლის პირველი ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა (97-ე მუხლის პირველი ნაწილი); ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (98-ე მუხლი); აბორტის უკანონოდ გაკეთება (123-ე მუხლი); ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება (124-ე მუხლი); საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (128-ე მუხლი); განსაცდელში მიტოვება (129-ე მუხლი); ცილისწამება (137-ე მუხლი); უხარისხო, უსტანდარტო ან უკომპლექტო პროდუქციის გამოშვება (160-ე მუხლი); უხარისხო საქონლის გასაყიდად გამოშვება (161-ე მუხლი); წამატება და სხვა დამახინჯება გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (163[1] მუხლი); კერძო მეწარმეობითი საქმიანობა (164-ე მუხლი); სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (165-ე მუხლის პირველი ნაწილი); კომერციული შუამავლობა (167-ე მუხლი); მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება (169-ე მუხლის მეორე ნაწილი); მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისათვის მოქალაქეებისაგან უკანონო გასამრჯელოს მიღება (169[2] მუხლის მეორე ნაწილი); ვაჭრობის წესების დარღვევა (169[3] მუხლის მეორე ნაწილი); ბენზინის ან სხვა საწვავსაცხები მასალების უკანონო გაცემა (169[4] მუხლის მეორე ნაწილი); ყალბი სამგზავრო დოკუმენტების დამზადება ((170-ე მუხლი); ყალბი საფოსტო მარკების და სხვა საფოსტო დოკუმენტების გაკეთება, გამოყენება და გასაღება (171-ე მუხლი); შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადება, გასაღება, შენახვა (173-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები); თევზისა და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოება (175-ე მუხლი); უკანონო ნადირობა (177-ე მუხლი); ძვირფასბეწვიანი ტყავის შესყიდვა, გაყიდვა, გაცვლა (177[1] მუხლი); ტყის უკანონო გაჩეხვა (178-ე მუხლი); სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევა (182-ე მუხლის მეორე ნაწილი); სავეტერინარო წესების დარღვევა (183-ე მუხლი); მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა (184-ე მუხლი); ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (186-ე მუხლის პირველი ნაწილი); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე (187-ე მუხლის პირველი ნაწილი); სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხლი); შეგნებულად ცრუ დასმენა (196-ე მუხლი); შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (197-ე მუხლი); დანაშაულის განუცხადებლობა (206-ე მუხლი); არასრულწლოვანის დათრობა (236[1] მუხლი); სატრანსპორტო საშუალე-

ბათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში, უკანონო მართვა და სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა ($241^1$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები) — განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის, ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში ჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა, — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში;

რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე — 74-ე მუხლები), ანდა რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში;

რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში.

ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, სასჯელის მოხდა შრომა-გასწორების კოლონიებში დაენიშნებათ: თუ ისინი ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, აგრეთვე მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე — 74-ე მუხლები) — მკაცრი რეჟიმის კოლონიებში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, — გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში; რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში ჩამოთვლილი განზრახი დანაშაულისათვის, — განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში; სხვა ქალებს, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, — საერთო რეჟიმის კოლონიებში.

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანებს, — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანებს, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში.

ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აღნიშვნით, შეუძლია თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნოს: პირველად მსჯავრდებულებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ამ მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში მითითებული განზრახი დანაშაულისათვის, — საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში; სხვა პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით, მაგრამ არ არიან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, — ნებისმიერი სახეობის შრომა-

გასწორების კოლონიებში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებისა და კოლონია-დასახლებებისა; მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულებს — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებისა“.

2. 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი); სავალუტო წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ($96^{1}$ მუხლი), გარდა ყაჩაღობით ჩადენილი გატაცებისა; გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი); ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189-ე, $189^{1}$ და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები); გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის, ანდა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მეორე ნაწილი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გარდა ყაჩაღური თავდასხმით, აგრეთვე დიდი ოდენობით ჩადენილი გატაცებისა ($252^{1}$ მუხლის მეორე ნაწილი), —

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ სამი მეოთხედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ“.

3. $54^{1}$ მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) რომელიც მსჯავრდებულია ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში ($78^{1}$ მუხლი); ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები); ყაჩაღობის გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის ($96^{1}$ მუხლი); განზრახ მკვლელობისათვის (104-ე, 105-ე მუხლები და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი), გარდა მკვლელობისა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ან ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (110-ე მუხლის მეორე ნაწილი); გაუპატიურებისათვის, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მეოთხე ნაწილი); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათს სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ($209^{1}$ მუხლი); განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთ-

ქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით (240-ე მუხლის მესამე ნაწილი); საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის ($242^3$ მუხლი); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით, აგრეთვე დიდი ოდენობით ($252^1$ მუხლის მესამე ნაწილი)".

II. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 ივლისი.

№ 196—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

### 248 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარის — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ" თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ კანონთა წიგნის გამომცემი კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ კანონთა წიგნის V კარი — „კანონმდებლობა მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის დაცვის შესახებ".

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

თბილისი, 1985 წლის 26 ივლისი.

№ 204—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 249 ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**ბაკურაძეს** გურამ ივანეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსაყოფაცხოვრებოქიმიის" მთავარ ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კოპალეიშვილს** მერაბ ლავრენტის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ წულუკიძის ქარხანა „პოლიმერკონტეინერის“ დირექტორს.

**მჭედლიშვილს** კობა მირონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მთავარ ინჟინერს.

**პოლივანოვას** ვალენტინა ზაქარიას ასულს — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“**

**ბობოხიძეს** ზაურ ივანეს ძეს — ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მვალცავს.

**ბოსნიაკოვს** ანატოლი ექვთიმეს ძეს — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ლაქსაღებავი საამქროს ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 169—XI

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 250 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი **მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:**

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“**

**ანჯაფარიძეს** ვახტანგ ნიკოლოზის ძეს — თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგს.

**ბაქრაძეს** თამარ არჩილის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს

**ბოკუჩავას** ცირა ნიკოლოზის ასულს — თბილისის № 8 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**ბოტკოველს** ცისანა ვლადიმერის ასულს — თბილისის № 2 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ბროუჩეკს** ლუდმილა იოსების ასულს — თბილისის № 6 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**გეგეჭკორს** ლიანა ალექსანდრეს ასულს — ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა რესპუბლიკური კაბინეტის მეთოდისტს.

**გოგოლაძეს** ნანული სიმონის ასულს — თბილისის № 28 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**გურასპაშვილს** ოლღა ნიკოლოზის ასულს — თბილისის № 3 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**დიაკვნიშვილს** ოთარ ალექსანდრეს ძეს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**დუმბაძეს** ჰენრიეტა აპოლონის ასულს — თბილისის № 9 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**თუშიშვილს** ლედა ალექსანდრეს ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**კაპრანოვას** სვეტლანა ნიკოლოზის ასულს — თბილისის № 2 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**კახაშვილს** ნუნუ ზაქარიას ასულს — თელავის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ლორთქიფანიძეს** შოთა პეტრეს ძეს — თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის მოადგილეს.

**მაისურაძეს** ირინე აბრამის ასულს — რუსთავის № 1 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**მუნჯიშვილს** ალა გიორგის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ნავასარდოვას** ლიგია რუბენის ასულს — თბილისის № 3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**ნიჟარაძეს** მედეა ნიკოლოზის ასულს — თბილისის № 5 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**რუხაძეს** ჟუჟუნა შალვას ასულს — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.

**საძაგლიშვილს** ეკატერინე ვახტანგის ასულს — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

**ქანთარიას** გიორგი ალექსანდრეს ძეს — თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

**ქართველიშვილს** თინათინ იაკობის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჩალაძეს** მზია დავითის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჩანჩალაშვილს** იაკობ ოთარის ძეს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჩიკვაიძეს** ალა გიორგის ასულს — თბილისის № 7 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**ჩიჩმაჯიანს** ემა ქრისტეფორეს ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ცაგარეიშვილს** ვიოლეტა რევაზის ასულს — თბილისის № 3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**ცაგარეიშვილს** ნელი ევგენის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

**ციციშვილს** მაყვალა შიოს ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ციციშვილს** გურანდა ზაქარიას ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ხარატს** ლევან აკაკის ძეს — თბილისის № 4 სამუსიკო სკოლის დირექტორს.

**ხუგაშვილს** ლიანა გიორგის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ხუჯაძეს** ზაურ ილიას ძეს — ბოლნისის სამხატვრო სკოლის დირექტორს.

**ჯიბლაძეს** ლინა ნოეს ასულს — თბილისის № 12 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"**

**ცერცვაძეს** იასონ იოსების ძეს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის ფონეტიკის კაბინეტის გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**

**ეჯიბიას** ლუიზა ლავრენტის ასულს — თბილისის № 1 სამუსიკო სასწავლებლის მთავარ ბუღალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 11 ივლისი.

№ 176—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 251 რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი"**

**ბაქრაძეს** გივი აკაკის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარიული სამსახურის მთავარ მეან-გინეკოლოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გოგოტიშვილს** თენგიზ გიორგის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარიული სამსახურის მთავარ ქირურგს.

**გულბანს** გელა სიმონის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

**დავითაშვილს** ნანა ალექსანდრეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

**ვარდოსანიძეს** თამარ სამსონის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის ექიმს.

**ვაჩნაძეს** ზოია მიხეილის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის ექიმს.

**კორმილიცინს** კონსტანტინე ანდრიას ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

**ლაჩრავას** მარიამ ვასილის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

**ლაშხს** სპარტაკ ანდრიას ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარიული სამსახურის უფროსს.

**ქათამიძეს** კონსტანტინე კარპეზის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

**ჩიტაიშვილს** ქოხეფინა ალექსანდრეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

**ჩიჯავაძეს** ნათელა ფარნაოზის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკის ექიმს.

**ჩხაიძეს** მეგი პავლეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

**ცაგარელს** ანა ბორისის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

**ჯაჯვანს** არჩილ პეტრეს ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

**„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი"**

**ბენდიანიშვილს** ლუბა ისლამის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მედდას.

**გაბუნიას** მერი სარდიონის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს უფროს მედდას.

**გოგიჩაიშვილს** ანტონინა პეტრეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის მედდას.

**დუბაკს** ვალენტინა პავლეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს სანიტარს.

**ჩაჩუას** თამარ აბელის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს მთავარ მედდას.

**ჯოხაძეს** ელენე ალექსანდრეს ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ფარმაცევტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 16 ივლისი.
№ 181—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 252 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**ბერელაშვილს** მერაბ დავითის ძეს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" მთავარ ინჟინერს.

**ერისთავს** ზურაბ კეჩოს ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სასოფლო და წყალსამეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილეს.

**კვირაიას** მიხეილ ლუკას ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორის მოადგილეს.

**კიკოშვილს** მიხეილ არტემის ძეს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" განყოფილების უფროსს.

**მაისურაძეს** ანზორ ათრასიონის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „ალაზანმშენის" მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველოს უფროსს.

**ტერ-მიქაელიანს** კარენ ივანეს ძეს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი"

**ბარიშევას** მარიამ გიორგის ასულს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" ჯგუფის ხელმძღვანელს.

ბიბლიოთეკა

**გაბუნიას** ნინო ალექსანდრეს ასულს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" უფროს ინჟინერს.

**დოლონაძეს** ქეთევან სილიბისტროს ასულს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" ჯგუფის ხელმძღვანელს.

**ნიშნიანიძეს** ოთარ დავითის ძეს — მცხეთის რაიონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერს.

**ხარშილაძეს** შალვა ხარიტონის ძეს — ადიგენის რაიონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერს.

**ხონელიას** გიორგი პავლეს ძეს — მახარაძის რაიონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერს.

**ჯალაღანიას** მიხეილ სპირიდონის ძეს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" პროექტის მთავარ ინჟინერს.

**ჯანჯალაშვილს** ნათელა მიხეილის ასულს — ინსტიტუტ „საქწყალპროექტის" ჯგუფის ხელმძღვანელს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**

**გიორგაძეს** კონსტანტინე ილარიონის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარწყალმშენის ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს.

**„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი"**

**ძიძიძეს** სულიკო გერვასის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის" ავტომანქანის მძღოლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 17 ივლისი.

№ 182—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 253 კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კულტურისა და ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"**

**ზერიძეს** ირაკლი გიორგის ძეს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგეს.

**კობეშავიძეს** გრიგოლ (მიხეილ) დიმიტრის ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მხედრულის“ სამხატვრო ხელმძღვანელს.

**სალუქვაძეს** გიორგი ისაკის ძეს — საქართველოს სამუსიკო-ქორეოგრაფიული საზოგადოების მახარაძის ქართული ხალხური სიმღერების აღდგენისა და შესწავლის სკოლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

**ქუთათელაძეს** ანზორ კონსტანტინეს ძეს — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

**ბაქრაძეს** ტარიელ ლუკას ძეს — კომპოზიტორს.

**დემურიშვილს** პავლე აირაპეტის ძეს — თელავის სამუსიკო სასწავლებლის გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს.

**დიხამინჯიას** ოთარ ბუხუტის ძეს — გეგეჭკორის რაიონის სოფ. ზანძის კულტურის სახლის გუნდის ხელმძღვანელს.

**ესებუას** ალექსანდრე ლავრენტის ძეს — აფხაზეთის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს.

**კანდელაკს** გაიოზ ვახტანგის ძეს — გრამფირფიტების სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის გრამჩამწერი სტუდიის დირექტორს.

**შუბლაძეს** ვადიმ ვარლამის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

**ადამაძეს** მარლენ ირაკლის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**ზახარიანს** გლახო არშაკის ძეს — ამიერკავკასიის ხალხური სიმღერების სოლისტ-შემსრულებელს.

**კახიანს** ოგანეს პარუირის ძეს — საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის აღმოსავლური სიმღერისა და ცეკვის ხალხურ ანსამბლ „საიათ-ნოვას“ კონცერტმაისტერს.

**კიკნაძეს** ნუგზარ შალვას ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**კობახიძეს** გიორგი დავითის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

**ლორიას** აბესალომ მამანტის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

**პეტრიაშვილს** ნოდარ უშანგის ძეს — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობს.

**ქინქლაძეს** ლეილა ნიკოლოზის ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

**ყურაშვილს** თამაზ ბორისის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**ხინთიბიძეს** მიხეილ დომენტის ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის ყოფილ მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ქობალიანს** მიხეილ მიხეილის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის დირექტორს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**აბზიანიძეს** თამარ დიმიტრის ასულს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს ოსტატს.

**ადამაშვილს** გელა გიორგის ძეს — თბილისის კინოს სახლის დირექტორს.

**დოლაბერიძეს** ლია ნიკოლოზის ასულს — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის განყოფილების გამგეს.

**დუნდუას** აზა სერგოს ასულს — თბილისის კინოს სახლის უფროს მეთოდისტს.

**კაზარიანცს** გრიგოლ გრიგოლის ძეს — საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრს.

**ტუჟბას** შოთა ლევანის ძეს — აფხაზეთის სამუსიკო-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეს.

**ქობალიას** შალვა ვლადიმერის ძეს — ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს.

**ქოჩეჩაშვილს** ცისანა ლევანის ასულს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორს.

**ჯავახიშვილს** გაიოზ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის“ თეატრის დირექტორს.

**ჯავახიშვილს** ლუბა დავითის ასულს — საქართველოს სამუსიკო-ქორეოგრაფიული საზოგადოების ომის ვეტერანთა გუნდის ხელმძღვანელს.

**ჯაფარიძეს** შალვა შალვას ძეს — ონის რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 23 ივლისი.

№ 203ა—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 254 საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

**ახათიანს** მედეა მექის ასულს — გამომცემლობა „განათლების" განყოფილების გამგეს.

**აფაქიძეს** თინათინ აკაკის ასულს — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის უფროს მეცნიერ რედაქტორს.

**ბანძელაძეს** გიორგი რაჟდენის ძეს — აფხაზეთის საწარმოო პოლიგრაფიული გაერთიანების ასოთამწყობს.

**დონაძეს** გიორგი არჩილის ძეს — გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორის მოადგილეს.

**ზუბიაშვილს** კარლო რუბენის ძეს — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ფოტოგრაფს.

**იაკობიძეს** ნოდარ გიორგის ძეს — თბილისის № 3 სტამბის დირექტორს.

**ირხელიანს** თანდარუხ რაჟდენის ძეს — აფხაზეთის საწარმოო პოლიგრაფიული გაერთიანების ზეინკალს.

**ტყეშელაშვილს** გიგლა ნიკოლოზის ძეს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის წიგნის მაღაზიების ზონალური გაერთიანების დირექტორს.

**ქავთარაძეს** ნათელა არჩილის ასულს — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" უმცროს რედაქტორს.

**ცერცვაძეს** გიორგი გიორგის ძეს — თელავის სტამბის ასოთამწყობს.

**ძოწენიძეს** ნოდარ შიოს ძეს — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქციის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

**ნიორაძეს** შოთა გიოზის ძეს — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის ილუსტრაციისა და კარტოგრაფიის რედაქციის გამგეს.

**ყავლაშვილს** ჯიბო მინას ძეს — გამომცემლობა „ნაკადულის" მხატვრულ რედაქტორს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

**კაზარიანს** სირანა მკრტიჩის ასულს — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მკინძავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კახელიშვილს** იოსებ ზაქარიას ძეს — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამქროს უფროსს.

**კოზაევას** ზინა ილიას ასულს — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მეწიგნეს.

**ფიფიას** გიორგი გიორგის ძეს — № 2 წიგნის ფაბრიკის საამქროს უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**ხაზარაძეს** ცეზარ მიხეილის ძეს — ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**ლუკიანოვას** ანა სტეფანეს ასულს — საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.

**შიშინაშვილს** გრიგოლ ისიდორეს ძეს — საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წამყვან ეკონომისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 23 ივლისი.

№ 193—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 255 ამხ. ბ. ი. ონიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საგეგმო და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ლენტეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს — საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ბულია იროდიონის ძე **ონიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 23 ივლისი.

№ 190—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 256 ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე პარტიის გენერალური ხაზის, სკკპ ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი დამსახურებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა, ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური, საქმიანი, შემოქმედებითი ვითარების შექმნაში პირადი დიდი წვლილისათვის ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე **შევარდნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 5 ივლისი.

№ 165—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 257 თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, კვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებისათვის და დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის აკად. ე. კ. ფიფიას სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.

№ 170—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 258 ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ბეკოშვილი** ნინო ხვთისოს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ № 1 კორდის საამქროს ოპერატორი.

**გიორგაძე** სანდრო სერგოს ძე — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის საამქროს მეაპარატე.

**ლოლელიანი** თინა გრიშას ასული — ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის უბნის მწნეხელი-ვულკანიზატორი.

**ჯულაყიძე** აკაკი გრიგოლის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს შემფუთავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.

№ 168—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 259 ამხ. რ. დ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ამხ. რევაზ დიმიტრის ძე **ბოკერია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.

№ 171—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 260 ამხ. თ. ნ. გოგეშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე — ადმინისტრაციული ორგანოების ჯგუფის გამგე ამხ. თენგიზ ნიკოლოზის ძე **გოგეშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 177—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 261 ამხ. კ. ნ. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 172—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 262 ამხ. ა. ა. მანელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მანელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 173—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 263 ამხ. ა. კ. მიკეევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის ხე-ტყის ბირჟაზე ხანძრის ჩაქრობისას ზუსტი ოპერატიული მოქმედებისა და მაღალი ორგანიზებულობისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი ანატოლი კუზმას ძე მიკეევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 174—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 264 ამხ. ი. გ. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმონტაჟკომპლექტის“ კადრების განყოფილების უფროსი ამხ. ილია გიორგის ძე ურუშაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 10 ივლისი.
№ 175—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 265 ამხ. თ. შ. იმედაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თამაზ შალვას ძე **იმედაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 15 ივლისი.

№ 179—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 266 რესპუბლიკის მედიცინის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**გალუსტაშვილი** ნიკოლოზ გიორგის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმი.

**გორდაძე** ანა პეტრეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

**დოლიძე** მარგარიტა ბესარიონის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ლაბორანტი.

**ზერაქიძე** მერაბ სერგოს ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარიული სამსახურის უფროსის მოადგილე.

**კაჭარავა** ფარნაოზ მაქსიმეს ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის ექიმი.

**კილასონია** ელენე ოქროპირის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ექიმი.

**კუპრაშვილი** გივი იოსების ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

**ლეჟავა** ალექსანდრე ერასტის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

**მურმანიშვილი** ირინე სტეფანეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქის გამგე.

**ფაღავა** ირინე ლევანის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის აკად. ე. ქ. ფიფიას სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ექიმი.

**ქარუმიძე** ჯემალ ვასილის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

**ღლონტი** გრიგოლ ისიდორეს ძე —ამიერკავკასიის რკინიგზის პროფ. ნ. ს. კახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

**შავერდოვა** ქერმენ არამის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის ექიმი.

**ჩიტაძე** ქუქუნა დავითის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის ოკულისტი.

**ცუცქირიძე** ივანე ნიკოლოზის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 16 ივლისი.
№ 180—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 267 ამხ. ნ. გ. ალექსიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნუგზარ გიორგის ძე **ალექსიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ივლისი.
№ 183—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 268 ამხ. მ. მ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მიხეილ მევლუდის ძე ბერიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ივლისი.
№ 184—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 269 ამხ. შ. ვ. ლომსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. შოთა ვასილის ძე **ლომსაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ივლისი.
№ 185—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 270 ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართვე-

ლოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ივლისი.
№ 186—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 271 ამხ. ტ. დ. ჩიჩუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგეგმო ორგანოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განყოფილების უფროსი ამხ. ტარიელ დავითის ძე ჩიჩუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 18 ივლისი.
№ 187—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 272 ამხ. ვ. მ. არხიპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად, მეომარ-ამიერკავკასიელთა საბრძოლო ოსტატობისა და პოლიტიკური აღზრდის სრულყოფისათვის გაწეული დიდი ორგანიზატორული მუშაობისათვის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მშრომელთა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმერ მიხეილის ძე **არხი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 22 ივლისი.

№ 188—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 273 ამხ. ო. ვ. კუპატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ოთარ ვარლამის ძე კუპატაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 23 ივლისი.

№ 191—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 274 ამხ. პ. ვ. ხუჭუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი პავლე ვასილის ძე ხუჭუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 23 ივლისი.

№ 192—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 275 რესპუბლიკის პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბესაძე** ზაირა არჩილის ასული — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ უფროსი რედაქტორი.

**ანუა** ლილი ნესტორის ასული — აფხაზეთის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების სოხუმის სტამბის მკინძავი.

**არობელიძე** მერი ვლადიმერის ასული — მახარაძის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების მუშა.

**გელაშვილი** გიორგი მიხეილის ძე — გამომცემლობა „განათლების“ რედაქციის გამგე.

**თარბა** ნელი ზოლოტინის ასული — გამომცემლობა „ალაშარას“ დირექტორის მოადგილე.

**მაკაჩავა** ლარისა ზაბელის ასული — აფხაზეთის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების სოხუმის სტამბის ასოთამწყობი.

**მესხი** ეთერ კასიანეს ასული — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი.

**ოხანაშვილი** დილარა გიორგის ასული — თბილისის № 17 სტამბის მკინძავი.

**პავტუტა** ლიდია ანდრიას ასული — თბილისის № 4 სტამბის მბეჭდავი.

**რიგვავა** ლუსია არჩილის ასული — ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ასოთამწყობი.

**უსტიაშვილი** ზიზი გიორგის ასული — თბილისის № 3 სტამბის ასოთამწყობი.

**წითელაძე** გუგული ალის ასული — აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების მბეჭდავი.

**ქარელიშვილი** გრიგოლ ივანეს ძე — თბილისის წიგნის ფაბრიკის მბეჭდავი.

**ხურცილავა** გრიგოლ მიხეილის ძე — გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორი.

**ხუხუნაიშვილი** ჯემალ პართენის ძე — ქუთაისის № 5 სტამბის მბეჭდავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 ივლისი.

№ 195—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

25 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განიხილა რა საკითხი — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ივლისის პლენუმის მითითებებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 3 ივლისის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს , რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაევალათ უფრო სრულად და თანამიმდევრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეკონომიკური, ორგანიზატორული, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფას, რომელიც გამიზნულია მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ყოველმხრივ დასაკმაყოფილებლად, სასურსათო პროგრამის შესასრულებლად, ყველა სამრეწველო საწარმოს მიერ, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად, სოციალური საკითხების გადასაწყვეტად, მოსახლეობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად; განუხრელად მიაღწიონ კანონიერებისა და წესრიგის განსამტკიცებლად,. ორგანიზებულობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად პარტიის ხაზის თანამიმდევრულ გატარებას.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას და განყოფილებებს.

მიზანშეწონილად ჩაითვალა პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ინფორმაციების სპეციალური გეგმის მიხედვით სისტემატური მოსმენა მათ მიერ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მოსამზადებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

* *
*

მოისმინა რა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილების მოთხოვნათა შე-

საბამისად აბაშის რაიონის საბჭოების დეპუტატთა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში შესამჩნევად ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საქმიანობის დონე, ინიციატივა და აქტივობა. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატებმა გააქტიურეს მუშაობა პარტიის პოლიტიკის განხორციელებლად, მის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის შესასრულებლად.

გაუმჯობესდა რაიონის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და სასოფლო საბჭოების ეკონომიკური, ორგანიზატორული და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა, იზრდება აგროსამრეწველო გაერთიანების გავლენა რაიონის ეკონომიკის განვითარებაზე. მეურნეობებსა და საწარმოებში შრომის სწორი ორგანიზაციითა და მშრომელთა მატერიალური სტიმულირების მეთოდების გამოყენებით მიღწეულია წარმატებები სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებასა და მეცხოველეობაში. გადაჭარბებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და მათი სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლედისა და მიმდინარე წლის გეგმები. დეპუტატთა აქტიური მონაწილეობით უფრო სრულყოფილად წყდება სესიებზე, აღმასკომებში და მუდმივ კომისიებში მეურნეობრიობის დონის ამაღლებისა და დარგთაშორისი კოორდინაციის საკითხები. იზრდება დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების აქტივობა, ამაღლდა საკონტროლო საქმიანობის ეფექტიანობა. მტკიცდება სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი ამ საკითხზე დაუგზავნა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაავალა მათ:

— პრაქტიკაში შემოიღონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყოველი ახალი მოწვევის დეპუტატების რაიონული და საქალაქო შეკრებების ჩატარება; უზრუნველყონ დეპუტატებისა და დეპუტატთა ფორმირებების საქმიანობის დონის, ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომი ამაღლება; სრულყონ დეპუტატთა სწავლების ორგანიზაცია;

— მიაღწიონ თითოეული დეპუტატის მიერ საკონსტიტუციო უფლებამოსილების განხორციელებასა და სადეპუტატო მოვალეობათა სანიმუშო შესრულებას, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მათი წვლილის განუხრელ ზრდას, მათს უფრო აქტიურ მონაწილეობას მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და დეპუტატთა საგუშაგოების მუშაობაში, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში, მოსახლეობის სამედიცინო, სოციალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებაში, სოციალისტური კანონიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების განმტკიცებაში, საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის შემდგომ განვითარებაში;

— ხალხის რჩეულთა აქტიური შემოქმედებითი პოზიციების განმტკიცებით უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნა; საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრა.

* * *

პრეზიდიუმის სხდომამ იმსჯელა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1984-1985 სასწავლო წლის შედეგებისა და 1985-1986 სასწავლო წლის სანიმუშო თემატიკის თაობაზე.

აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების მუშაობა 1984-1985 სასწავლო წელს მიმართული იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, სხვა პარტიულ და საბჭოთა დოკუმენტებში ჩამოყალიბებული აქტუალური პრობლემების შესასწავლად.

სასწავლო წლის განმავლობაში სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობებზე განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო, სამეურნეო, სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების ამოცანებს.

სემინარ-ლექტორიუმებმა კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწაზე, სამეურნეო-ორგანიზატორული და საორგანიზაციო-მასობრივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

უფრო მრავალმხრივი გახდა საბჭოთა აქტივის საქმიანობა თავის სამოქმედო უბნებზე. უკეთ დაიწყეს მუშაობა მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატთა ჯგუფებმა, დეპუტატთა საგუშაგოებმა, დეპუტატებმა თავიანთ საარჩევნო უბნებსა და შრომით კოლექტივებში. ერთგვარი ძვრებია მიკრორაიონთა საბჭოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობაში.

რესპუბლიკის რიგ საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან არსებულ სემინარ-ლექტორიუმებში თეორიული საკითხების შესწავლას კარგად უკავში-

რებენ პრაქტიკულ საქმიანობას, მეცადინეობებზე ხშირად იწვევენ მეცნიერებს, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალისტებს.

ამასთან ერთად შემაჯამებელი მეცადინეობების ანალიზმა ცხადყო, რომ საბჭოების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა მშენებლობის თეორიული პრობლემების შესწავლის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებას, დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას.

აღინიშნა, რომ სემინარ-ლექტორიუმების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები იშვიათად იხილავენ საბჭოთა კადრებისა და აქტივის სწავლების, მეცადინეობათა შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— საბჭოთა კადრების სწავლების სრულყოფის საქმეში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის, აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით;

— სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა მშენებლობის თეორიული საკითხების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირონ სახალხო ხელისუფლების ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობას;

— სემინარ-ლექტორიუმების მუშაობა დაუქვემდებარონ XI ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების შესრულებას, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის ამოცანებს;

— უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, მათ მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულად გამოყენება; მიაღწიონ სამეურნეო-ორგანიზატორული და საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის შემდგომ სრულყოფას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სწავლების ეფექტიანობის განუხრელ ზრდას; მიაღწიონ საბჭოების აღმასკომების აპარატში დისციპლინის განმტკიცებას, ყველა რგოლის საბჭოების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას, საბჭოთა კადრებისა და აქტივის პასუხისმგებლობის შემდგომ ამაღლებას, ადგილობრივ საბჭოებში პარტიისა და მთავრობის დირექტივების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლის საქმის სრულყოფას;

— სემინარ-ლექტორიუმების მუშაობაში არ დაუშვან ფორმალიზმი და ზერელობა, უზრუნველყონ მსმენელთა აქტიურობის გაძლიერება; მეცადინეობათა ჩასატარებლად უფრო ფართოდ მიიზიდონ მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

პრეზიდიუმის სხდომამ მოიწონა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1985-1986 სასწავლო წლის სანიმუშო თემატური გეგმა.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. შუშანაშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადება-გამოცემისა და 1983-1985 წლებისათვის საკანონმდებლო აქტების პროექტთა მომზადების გეგმის შესრულების შესახებ, აგრეთვე განიხილა სხვა საკითხებიც.